შეთანხმება №02/226-1
„გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ“
№02/226 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. ახალციხე 21 სექტემბერი 2018 წელი

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფესორი როინ თათეშვილი, შემდგომში „შემსყიდველი“ ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, ს.კ. 224072928, დირექტორის ირაკლი ათუნაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” თანახმად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ“ 2018 წლის 13 სექტემბრის №02/226 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტსა და მე-12 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა, 2018 წლის 22 სექტემბრიდან 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2018 წლის 13 სექტემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.“

2. მხარეთა შორის 2018 წლის 13 სექტემბერს დადებული „გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ №02/226 ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც არ იცვლებიან წინამდებარე ხელშეკრულებით, რჩება ძალაში.

3. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ინახება მხარეებთან.

მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი: როინ თათეშვილი	დირექტორი: ირაკლი ათუნაშვილი
---	---
ვიზირებულია იურისტის მ/შ: თამარ ხოსიტაშვილი	